



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #133/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ადვოკატი, ახორციელებდა საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას ორდერის საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მხარეთა შორის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატს თავდაპირველად სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ჟურნალისთვის ინფორმაციის გამოტანა ევალებოდა, მოგვიანებით მხარეები შეთანხმდნენ ადმინისტრაციული სარჩელის შედგენაზე სასჯელაღსრულების დაწესებულების წინააღმდეგ. საადვოკატო მომსახურების საფასურის ოდენობად განისაზღვრა 200 ლარი. მხარეთა მორიგი შეთანხმებით, ადვოკატს უნდა წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები, თბილისის საქალაქო სასამართლოში ამავე ადმინისტრაციულ დავაზე. ადვოკატს დამატებითი მომსახურების საფასური არ მოუთხოვია. იმის გამო, რომ საქმეში ადვოკატის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა და მისი ინფორმირება ვერ მოხერხდა სხდომის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, საქმე დარჩა განუხილველი. ადვოკატმა გასწია პროფესიული მოქმედებები, ერთ-ერთს კი წარმოადგენდა სამედიცინო ექსპერტიზისათვის განცხადების წარდგენა თუმცა, კლიენტის წარუდგენლობის გამო ექსპერტიზა ვერ შედგა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და შესაბამისად, კლიენტიც არ იყო ინფორმირებული ანგარიშგების შესახებ. მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ვადამდე.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა,ე), 6.1, 6.2, აპკ-ის 8.5, 8.6, 8.12, 8.13, 8.15 და 9.3 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, განხილვის კოლეგიის ვარაუდით, ადვოკატმა ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება არ გამოიყენა კლიენტის ინტერესების წარმოსადგენად. ვარაუდი ემყარება იმ საფუძველს, რომ არსებული ორდერით, ადვოკატი ვერ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მას ამისთვის რწმუნებულებაც არ მოუთხოვია. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მას არ გააჩნია უფლებამოსილება ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები და საშუალებები სამართლებრივად არსებითად შეაფასოს, მაგრამ ადვოკატის მოქმედება არ უნდა დაემსგავსოს, ფორმალურ საადვოკატო საქმიანობას და ამასთან ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება. ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით განხილვის კოლეგიამ

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c484f79da0dd.pdf/5c484f79da0dd.pdf>

განმარტა, რომ კვალიფიციურ საადვოკატო მომსახურებას არ ექნება ადგილი, თუ ადვოკატი არ შეაფასებს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო ნივთმტკიცებულებების მნიშვნელობას. ადვოკატის ვალდებულება კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, ურჩიოს კლიენტს სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი იქნება სადავო საკითხისათვის ექსპერტიზის ჩატარება და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს კონკრეტულ ექსპერტიზათა ჩატარების განცხადება სათანადო ნივთმტკიცებათა დანართით. განხილვის კოლეგიის განმარტებით, კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და შესაბამისად კლიენტიც არ იყო ინფორმირებული ანგარიშგების შესახებ. ადვოკატი ელოდებოდა საჩივრის ავტორის მეუღლეს, როდის მიაწვდიდა ინფორმაციას გამოგზავნილი თანხების შესახებ, რაც არღვევს სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულებას კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ მან კლიენტს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითა და მტკიცებულებებით არ დგინდება აღნიშნული ეთიკური ვალდებულების შესრულება. განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარ შეცნობით ყალბი მტკიცებულება. კოლეგიამ აღნიშნული ნორმა ფართოდ განმარტა და განაცხადა, რომ ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე ნებისმიერ სხვა პირთან, რომლებიც ახორციელებენ სასამართლოს მსგავს ფუნქციას. წინასწარ შეცნობით ყალბი ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა ვრცელდება ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებაზეც. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე იმის დასტურად, რომ მან ნამდვილად წარადგინა შეწყალების განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, წარმოადგინა საბუთი, რომელიც იყო შეცდომაში შემყვანი. ეთიკის კომისია, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის მიერ ორდერი ერთი და იგივე ნომრით არის ამოწერილი, რეკომენდაციას უწევს მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ორდერის სავალდებულო რეკვიზიტების სწორად მითითებას.

დასკვნა

დისციპლინურ საქმეზე, ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა.ე), 6.1, 6.2, აპკ-ის 8.5, 8.6, 8.12, 8.13 და 9.3 მუხლების დარღვევა. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.